შაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 2 (15) — წელიწადი მესამე — ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწე**რილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. **წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტო**რის ვინაობა და მისამართი. **უპირო**ბოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია პირადათ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია ღია არის** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

**გაზეთის ფასი** პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე— 30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა ღიაა** დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 193 — ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი — № 193

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

მთავარ სარდალის ბანაკი კორნილოვს ემორჩილება.

კავკასიის ყაზახთა დივიზიას კორნილოვმა ოდესისკენ წასვლა უბრძანა.

კორნილოვმა მოგილიოვში საალყო წესები გამოაცხადა.

ყაზახთა ჯარების საბჭო უნდობლობით უყურებს მთავრობას.

მოსკოვის სადგური პოვარინო ყაზახებს უჭირავთ.

გენერალი კალედინი დონის ოლქს აჯანყებს.

გენერალი კრილოვი მთავრობას დაემორჩილა.

### წერილები

**მეთაური.** შიმშილის საფრთხე საქართველოში.

**გიორგი გვაზავა.** სომხეთი და საქართველო (დასასრული).

**ილია ფერაძე.** მასწავლებელთათვის კურსების მოწყობა.

**კორესპოდენცია.** რაჭიდან, კახეთიდან და ახალციხიდან.

მაჰმადიანთა სამხედრო კავშირის წესდება.

გაზეთ „საქართველოს"
**კანტორისაგან**
**რადგანაც დღითი-დღე სიძვირე**
მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,
**გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.**

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთად, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.
აგრეთვე ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

კვირას, 3 სექტემბერს,—გარდაცვალებიდან ორმოცის დღის შესრულების გამო, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, გადახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი
**კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასულის**
**მაჩაბლის**
სულის მოსახსენებლად.
პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზედ საფლავზედ,—რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები, და და ძმა. 1—773—1

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი**
ამით აცხადებს, რომ დღეს შაბათს 2 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში
**დანიშნულია კრება**
ასარჩევია გამგეობის წევრები.
წევრთა და თანამოაზრეთ ვთხოვთ მობრძანდნენ. 1—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
**მე-7 უბნის კომიტეტი**
ამით აცხადებს, რომ შაბათს, 2 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, წმ. მარინეს ეკლესიის შენობაში, დანიშნულია პარტიის
**წევრთა და თანამოაზრეთა კრება**
კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე. 1—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
**X და XII უბნის კომიტეტი**
ამით აცხადებს, რომ კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათზე
**ახალ საკრებულოს შენობაში** (ყოფილი ხარფუხ. კლუბი)
დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა
**კრება.**
კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ამასთანავე ბ. გიორგი ყურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უბნებში დაარსების საჭიროებას და მათს მნიშვნელობას. შემდეგ მოხდება საუბნო კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

**თბილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის გამგეობა**
ამით აცხადებს, რომ ენკენისთვის 2-დან ბანკში საქმეთა წარმოება
**დილის 10 საათიდან—შუადღის 2 საათამდე მოხდება** 1—759—1

გამოვიდა და იყიდება
**ტიტე მარგველაშვილის**
წიგნი
**„ჩვენი ეკონომიური ძლიერების საშუალებანი"**
წიგნის მაღაზია „ცოდნა" ი. მერკვილაძისა და ეროვნ.-დემოკრატიის ბიურო. ფრეილინის ქ. № 13. 3—2

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41 თ—719—7

ექიმის თანაშემწე
**ვანო საათაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს სად. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). 9—748—თ.

ექიმი
**გ. ი. ზარნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. ბოდბისკის ქ. № 4. (თ—202—)

ექიმი
**გ. შ. მუხაძე**
იღებს ხირურგიულ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სამკურნალო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ორდინატორი ექიმისა
მიხეილის საავადმყოფოს ექ.
**კალანდარიშვილი**
[illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი
**პ. ლ. შალამბერიძე**
იღებს სამშობიარო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 1.

ექიმი
**მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
**გ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს სად. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა კვირაუქმეებისა.
მიხეილის პროს. № 86, მეორე სართული.

ექიმი
**გ. გ. ფეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—12)

ექიმი ქალისა
**ე. ივ. გედევანიშვილი-მაღლაშვილისა**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

პირველ ენკენისთვიდგან იხსნება
**ჭრა-კერვისა**
და სხვა-და-სხვა ხელოვნურ ნაქარგების
**სასწავლებელი.**
ვიღებთ მოწაფეებს და აგრეთვე ყველანაირ შემოკვეთილ საქმეებსა.
2—769—2 ნატო კენჭიაშვილი. ჩერქეზიშვილის ქუჩა 15.

**თბილისი, ენკენისთვის 2.**

## შიმშილის საფრთხე საქართველოში

სასურსათო საქმე, რომლის ცუდ მდგომარეობას ყოველ დღე ყველა თვალით ხედავს ცარიელ მაღაზიების და გაციებულ ფურნეთა წინ მოლოდ ნე ხალხის ცქერით თანდათან უარესდება. მცხოვრებლებს აკლიათ მინიმუმი საჭირო საკვებისა, უმეტესთათვის ნახევრად შიმშილი ჩვეულებრივ მდგომარეობად იქცა და იმედებიც მდგომარეობის გაუმჯობესებისა ფრიად მკრთალია. სასურსათო სამინისტროს სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ სანოვაგის რაოდენობა კლებულობს განსაცვიფრებელი რაოდენობით. მაგალითად შარშან პეტროგრადში ერთს თვეში რკინის გზით შეუტანიათ 77,7 ვაგონი ფქვილი და წყლის გზით 100,2, ხოლო წრეულს რკინის გზით 22 და წყლის გზით 1,1 ვაგონი. ასეთი მდგომარეობაა ყველგან და არავინ აღარ ფიქრობს, რომ შიმშილის წინაშე ვდგევართ. კერძოდ საქართველოც ამ საშინელების შიშით არის შეპყრობილი. ჩრდილო-კავკასია, რომელიც ჩვენი ბეღელი იყო აქამდე დაცალიერდა და მისი იმედით ჩვენ აღარ შეგვეძლება ცხოვრება. საქართველო კი მშვიდობიანობის დროსაც კი არ ყოფილა საკმარისი სანოვაგით უზრუნველყოფილი და ეხლა ხომ, როცა არსაიდან არ არის დახმარების იმედი უკიდურეს მდგომარეობაში უნდა მოიქცეს.

ის პური, რომელიც ჩვენში მოიძებნება, განზრახულია იძულებით ჩამორთმეულ იქნეს და შემდეგ დანაწილდეს სამთავრობო ორგანოთა საშუალებით. აშკარაა, რომ ამ ჩამორთმეულ პურის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჯარს გადაეცემა, რადგან მისი სურსათით დაკმაყოფილება უპირველეს საჭიროებათ არის აღიარებული.

სიმშილის საშინელი საფრთხე თავს დაგვტრიალებს და ყოველი შესაძლებელი საწინააღმდეგო ზომების მიღება სწრაფად და საჩქაროდ არის საჭირო.

რომ მარტო სამთავრობო ორგანოთ არ შეუძლიათ მოაწესრიგონ ეს რთული საქმე, ამას თვით აღარ მალავენ და ამისთვის აუცილებელია დაუყოვნებლივ მოწვევა ყველა იმ ძალთა, რომელთაც შეუძლიათ თუ სავსებით არა, რაოდენადმე მაინც შეამსუბუქონ ამ საფრთხის საშინელება. საჭიროა ხელ-ახლა განხილულ იქმნას ყველა ის ზომები, რომელნიც აქამდე ჰქონდათ მიღებული ადგილობრივ სასურსათო დაწესებულებათ, რომ ახალი საშუალებანი გამოიძებნონ კრიზისის ასაცდენად.

უნდა ყველამ ახსოვდეს, რომ სასურსათო კრიზისმა სასიკვდილო მახვილი დასცა ძველს მთავრობას და შიმშილის საფრთხესაც შეუძლია სამარედ გახდეს რევოლუციისათვისაც.

## სომხეთი და საქართველო

III

(დასასრული)

გამოჩნდა პარტია „დაშნაკცუთუნი". „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო". ამ პარტიამაც თვალები დააცეცა, დაინახა უპატრონო საქართველო და განიზრახა შიგ უჯოხოდ სეირნობა. მთელი აღმოსავლეთი საქართველო კინაღამ სომხეთის კოლონიად გამოაცხადეს.

მგონი 1906 წელში შვეიცარიაში მოხდა კონგრესი დაშნაცაკანებისა. იქ დაადგინეს მოიწვიონ დამფუძნებელი კრება მომავალ თავისუფალ სომხეთისა—სადა გგონიათ?—ქ. თბილისში! აგრე გამოდიოდა, თითქო ქალაქი თბილისი ცენტრია მომავალ სომხეთისა. რა საკვირველია, თბილისის სომხებმა მაშინადვე იგრძნეს ეს პოლიტიკური სიდუხჭირე პარტიისა და ეს დადგენილება თბილისში არც კი გამოუქვეყნებიათ.

ამ ხუთი-ექვსი წლის წინედ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გამოსცა ბაქოში ეთნოგრაფიული რუქა სომხების მოსახლეობისა ამიერ-კავკასიაში. მთელი ამიერ-კავკასია შეღებილია წითელი ფერადით; მართალია ამ ფერში არის ცოტაოდენი ნიუანსები, მაგრამ მაინც იგი ერთიანად წითელია. გამოდის თითქო მთელი ამიერ კავკასია სომხებს უჭირავსთ... ამისთანა მაგალითები შეიძლება ბლომად მოვიყვანოთ, მარა რა საჭიროა მაგალითები, როცა თვითონ პოლიტიკური პროგრამა „დაშნაკცუთუნისა" არც კი ჰმალავს თავის განზრახვას და სურვილს.

ეს პროგრამა იყოფება ორ ნაწილად. პირველი ნაწილის სათაურია: „Для турецкой арменіи", მეორისა—„Для Закавказья". დაუპირდაპირეთ ეს ორი სათაური ერთმანეთს და აშკარად დაინახავთ, რომ პარტია ისეთივე თვალ-საზრით და უფლება-მოსილობით შეჰყურებს ამიერ-კავკასიას, როგორც ოსმალეთის სომხეთს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამიერ-კავკასია არ ეკუთვნის საქართველოს, ამიტომ ჩვენ ჩვენს ქერქში ვართ და სხვის მიწა-წყალს არ ვეპოტინებით. „დაშნაკცუთუნი" კი თავის ქერქში არ ეტევა და ეპოტინება მთელ ამიერ-კავკასიას. ლოგიკურად ორიდან ერთი რამ უნდა იყოს: ან უნდა იყო პარტია ინტერნაციონალური—და მაშინ შეგიძლია დაეპოტინო არა მარტო ამიერ-კავკასიას, არამედ მთელს ქვეყნიერებას; ანდა, თუ ეროვნულ ნიადაგზე დგეხარ, არ უნდა დაივიწყო უფლება და ინტერესები ყოველ სხვა ერისა. „დაშნაკცუთუნი" ამ უბრალო ჭეშმარიტებას სრულებით გაურბის. იგი განსაკუთრებით ეროვნულია და ამავე დროს არც-კი მოიპოება ისეთი კუთხე, რომელსაც რომ იგი არ ეპოტინებოდეს. იგი ცდილობს თავის ერის აყვავებას, ეს სრულებით კანონიერია, მარა ამ მისწრაფებაში იგი ისე მიალაჯუნებს ფეხებს, რომ ვერც-კი ამჩნევს თუ როგორ სთელავს სხვა ერების უფლებებს და ინტერესებს. იგი შეჰყურებს ცას, შეჰხარის ოცნებით შემთხზარ ვარსკვლავს, და თუ აგრე განაგრძო სიარული, ეჭვი არ არის, გადაიჩეხება პირველსავე ხრამში.

IV.

საჭიროა შეგნება და პატივისცემა ეროვნულ უფლებისა. საქართველოს აქვს თავისი უფლება, ჩამოსხმული და ჩამოყალიბებული 1783 წლის ხელ-შეკრულებაში, მისი ტერიტორია განსაზღვრულია რეალურად და მისი სახელმწიფოებრიობა ემბლემატიურად გამოხატული მის სახელმწიფო ღერბში. ყველა იცნობს რუსეთის ღერბსა; ამ ღერბის მარჯვენა კუთხე უჭირავს „ღერბს საქართველოის სამეფოისას". ეს არის მხოლოდ ემბლემა საქართველოს სახელმწიფოებრივ უფლებისა და ვისაც უნდა ამ იურიდიულ ქარადმის ახსნა და წაკითხვა, იგი უნდა მიუბრუნდეს ისევ ხელშეკრულებას 1783

წლისას. აი, ამიტომ, ვინაიდგან საქართველოს პოლიტიკური უფლება საუკუნოდ განმტკიცებულია ხელშეკრულებით, ძირითადი კანონით და სახელმწიფოებრივის ემბლემით, ახლა ყოვლად შეუძლებელია ვინმემ რომ ანგარიში არ გაუწიოს საქართველოს ეროვნულ უფლებებსა.

ამიტომ საქართველოს ტერიტორიაც დაურღვეველია, იმას ვერ ჩამოეჭრება ვერც ერთი კუთხე. უფლებრივად საქართველო იმავე მდგომარეობაშია, როგორც ეს თუ ის კანტონი შვეიცარიის კონფედერაციისა. განა შეიძლება რომელიმე კანტონს ჩამოეჭრას რაიმე კუთხე და მიეზომოს მეორე კანტონს?! ამისთანა მოქმედება უსათუოდ ამღვრევდა საზოგადოებრივ სინიდისს და გამოიწვევდა დიდს ალიაქოთს მთელს შვეიცარიაში და შეიძლება მის გარეც.

ახლა ვნახოთ, რაღას ჩადის პარტია „დაშნაკცუთუნი"? იმას მოუმზადებია რაღაც პროექტი ამიერ-კავკასიის გადამიჯვნისა, გაუგზავნია იგი პეტროგრადის სამინისტროში და ახლა ეს კანონ-პროექტი მიღებულია თბილისში განსახილველად და შესასწორებლად. ამ კანონ-პროექტით „დაშნაკცუთუნი" ეპოტინება ბორჩალოს ერთ ნაწილს და მთელს ახალქალაქის მაზრას; ეს კიდევ ცოტაა: იგი იჭრება გორის მაზრაშიაც და იქიდანაც ჰლამობს გამოჰგლიჯოს ერთი-ორი სოფელი.

რა არის ეს? რა სახელი უნდა ვუწოდოთ ამისთანა მოქმედებას? აშკარაა, პარტიისთვის არ არსებობს არავითარი უფლებრივი პრინციპი და მორალური მისი სახე თითქმის ჰოტენტოტურია: „რაც ჩემია—ჩემია, და რაც შენია—ისიც ჩემიაო". რა დაუშავა საქართველომ ამ პარტიას? რად უნდა ცდილობდეს იგი საქართველოს ტერიტორიის დაფლეწას და განაწილებას?

ამბობენ, ამ კუთხეში სომხები უმეტესობას წარმოადგენენო. რა ვუყოთ მერე? სომხები უმეტესობას წარმოადგენენ მხოლოდ ამ კუთხეში და არა საქართველოში. საქართველოში სომხების რიცხვი არ აღემატება 12—15 პროც. მთელი მოსახლეობისას, მაშასადამე ვალდებულნი არიან სინიდისით და კანონით თანასწორად და თანაბრად გაიზიარონ საქართველოს ბედი. საქართველოში ყველა თავისუფალია, ყველა თანასწორი, ყველა—მოქალაქეა, აღჭურვილი ერთნაირი უფლებებით, მარა არავის აქვს ნება, ვინც გინდა იყოს იგი—ქართველი, სომეხი, თათარი თუ ებრაელი—არავის აქვს ნება უღალატოს საქართველოს, დაარღვიოს მისი სახელმწიფოებრივი უფლებანი, დაჰფლითოს და დააქუცმაცოს მისი ტერიტორია.

ნუ-თუ ეს არ ესმის „დაშნაკცუთუნს"? პარტია, რომელიც თვითონ იბრძვის უფლების მოსაპოვებლად, ფრთხილად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სხვის მოპოვებულ უფლებებსა. ეს ანბანია კეთილ-განწყობილებისა და მეტად სამწუხაროა, თუ ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია პოლიტიკურ პარტიას.

გიორგი გვაზავა.

# კონტრ-რევოლუცია

## დეპეშები

### შეთქმულობა მთავარ ბანაკში

**ყიტომირი.** მარიამობისთვის 29. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრებაზე მიღებულია ზომები ქალაქისა და რევოლუციის დასაცველად. მთავარი გამგე ელნერი, მისი თანაშემწე გენერალი პავსკი და კანცელარიის უფროსი გენერალი სელგიევსკი დატუსაღებულ იქმნენ. ჯარისკაცთა წარმომადგენლების ჩვენებით შეთქმულობა თურმე დიდი ხანია მზადდებოდა. ბერდიჩევის ჯარები ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილა. უმეტესი ნაწილი რევოლუციური სულით იყო გაჟღენთილი. კაზაკები და ორენბურგის პოლკები განზე დადგნენ. კაზაკებთან ხშირად ვიღაცა პირები მიდი-მოდიოდნენ და ჩუმად რაღაცაზედ თათბირობდნენ. ბერდიჩევის მეორე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, ვიდრე ასეთი ამბები მოხდებოდა, მთავარსარდლის ცხენოსანი ამალა გაემართა გენერალ დენიკონის შტაბისაკენ. ასევე მოიქცნენ ჯავშნიანი ავტომობილები, როდესაც შეთქმულობა გამჟღავნებულ იქნა. ორენბურგელები გარდაუწყვეტ მომენტის ბოლომდინში არიან. ჯარების სხვა ნაწილები მთავრობის ერთგულნი დარჩნენ.

### მიმართვა კავკასიელთა დივიზიისადმი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. ოფიციალური. თქვენ მიცნობთ მე მე 6 ე ლაშქრით და მე წმუნეთ, რომ გენერალი კორნილოვი და თქვენი უფროსები გატყუებენ თქვენ. მათ პეტროგრადში ბოლშევიკების წინააღმდეგ კი არ მიჰყევხართ, არამედ დროებით მთავრობის გადასაყენებლად, რომ კვლავ ძველი წეს-წყობილება აღადგინონ. ბევრი ველაპარაკე, ბევრი ვარწმუნე კორნილოვი, რომ სამოქალაქო ომი არ დაეწყო, თქვენი სისხლი ძველ წესწყობილების აღსადგენად არ დაეღვარა, მაგრამ ჩემმა რჩევამ არ გასჭრა. ჯარისკაცნო! თქვენი უფროსებიც გენერალ კორნილოვს უჭერენ მხარს. ყურს ნუ უგდებთ მათ, დასტოვეთ თქვენი პოლკები, რომელთაც უთქვენოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლიანთ. დაბრუნდით ცარსკოე სელოში, დაუბრუნდით თქვენს მეგობრებსა და დროებით მთავრობას.

### მოქმედ ჯარში

მდგომარეობის ნამდვილ სახეს გაეცნენ თუ არა, კაზაკები ყაზარმებში დაბრუნდნენ. შტაბში სრული წესიერებაა. საზოგადოებათა და ჯარისკაცთა კავშირების საზოგადო კრებაზე გამოტანილ იქმნა რეზოლუციები, დროებით მთავრობას მხარი დაუჭიროთ მთელი ჩვენის ძალ-ღონითაო.

### პროპაგანდა ბესარაბიაში

**ოდესა.** მარიამობისთვის 25. (დაგვიანებულია). ბესარაბიაში მოლოდავე ლი ჯარისკაცები რეაქციონურს პროპაგანდას ეწევიან. მათს საწინააღმდეგოდ მიწვეულნი არიან მოლდაველი ლექტორები და აგიტატორები, რომ ხალხს მდგომარეობის სინამდვილე აუწყონ.

### გენერლების დაპატიმრება

**მოქმედი ლაშქარი.** მარიამობისთვის 29. დროებითი მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულნი არიან სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალი დენიკინი, შტაბის უფროსი მარკოვი, გენერალი ორლოვი და მორიგი მეთვალყურე გენ. ვოლკოვი. მთავარსარდლის თანამდებობას ასრულებს გენერალი ოგოროდნიკოვი.

### მდგომარეობა ფილიანდიაში

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 29. ადგილობრივ მეცხოვნე ჯარებისა, სვეაბორგისა, ცხისა და მეზღვაურ ჯარისკაცთა შორის სრული სიწყნარეა. მეზღვაური და მეცხოვნე ჯარის კაცნი ძმურად ხელს უწოდებენ ერთმანეთსა და ფიცსა სდებენ სამშობლო და რევოლუცია იხსნან ღალატისაგან და გარე მომდგარ მტრის მახვილისაგან. რევოლუციონურ კომიტეტების ხელშია მთელი შეიარაღებული ძალა. მარინის სახაზინო და კრებების ალაგს ჯარისკაცები იცავენ.

### მოსკოვის აღმასრულებელი ორგანო

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 30. სოციალ-დემოკრატთა და საგუბერნიო სასწრაფო კრებაზე სამ-რიგ სცნეს დაარსონ აღმასრულებელი ორგანო, რომელიც 5 კაცისგან იქნება შემდგარი. ეს ორგანო აღჭურვილი იქნება სრული უფლებით კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად.

### კერენსკის მოწოდება ყაზახობას

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი. 1917 წ. მარიამობისთვის 27. თებერვლის დღეებში, როდესაც ყველა ერომ ენებათა ერთსულოვან მონაწილეობით დაიმხო ძველი თვითმპყრობელობა, თქვენ თავისუფლების მოტრფიალენი, აღშფოთებულ ხალხს პირველ რიგში იდექით. მკათათვის მწუხარე დღეებში 3 5, როდესაც უპასუხისმგებლო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი შეეცადა სახელმწიფოებრივი გარდაქმნით კონტრრევოლუციურ მოქმედებათათვის ფართე გზის გახსნა—თქვენ დროებითი მთავრობის პირველ მოწოდებისათანავე დარაჯად დადექით დიად რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებას და შეუდრკელად მხარს უჭერდით დემოკრატიის წმიდა ნებას. ახლა თქვენი სამშობლო მძიმე განსაცდელს განიცდის. კონტრ-რევოლუციონერთა შეთქმულებას სათავეში უყენია უმაღლესი მთავარსარდალი კორნილოვი მოექცა და ამბოხება მოახდინა მთელ ერისა და დროებით მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ მთელმა ჯარმა და საუკეთესო მის წინამძღოლებმა არ უღალატეს თავიანთ წმიდა მოვალეობას და ღალატით ჩირქი არ მოიცხეს. დროებითი მთავრობა და მასთან მთელი ერი დარწმუნებულია, რომ თავისუფალი ყაზახობა, როგორც მუდამ, რევოლუციურ ჯარის პირველ რიგში გამოვა და მთელ ლაშქართან ერთად ჩააქრობს მოღალატე შემთქმელთა უგვანო ცდას.

სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი.

### ახალი სარდლები

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლად დააყენეს გენერალი ოგოროდნიკოვი, ხოლო შტაბის უფროსად—პოლკოვნიკი გრომიკო.

### ბეჭდვითი საქმე

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი იუსტიციის მინისტრს წერილობითა სთხოვს სასწრაფოდ განხილულ იქმნეს სასამართლოში ბეჭდვითი საქმის ვითარება. ამასთან ერთად უნდა გამოქვეყნებულ იქმნეს დროებითი მთავრობის ახალი დადგენილებანი ბეჭდვითი საქმის შესახებ.

### დასავლეთ ფრონტის მდგომარეობა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. დასავლეთ ფრონტის კომისარმა ჟდანოვმა განაცხადა, რომ ლაშქრის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდაო. მეორე ლაშქრის კაზაკთა პოლკები დროებით მთავრობას მიემხრნენ. სხვა და სხვა ლაშქრებიდანაც ასეთივე სანუგეშო ამბები მოდის. პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა პეტროგრადის კომისარს სასტიკად თვალყური ადევნონ 1917 წ. 27 აპრილის კანონი ბეჭდვითი საქმის შესახებ სწორად იქნეს შესრულებულიო.

### სამხედრო სამინისტროს ახალი მმართველი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ვერხოვსკი დანიშნულია სამხედრო სამინისტროს მმართველად.

### გენ. კრილოვი ძაღს იხრის

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. როგორც მოსული ცნობებიდანა სჩანს, ცხენოსანთა კორპუსის გენერალ კრილოვს გეზი შეუცვლია, პეტროგრადისკენ აღარ მოდის. ჯარის კაცთა წარმომადგენლებისთვის მას გადაუცია, რომ პეტროგრადზე აღარ გავილაშქრებ და მზად ვარ დროებით მთავრობის ყოველი ბრძანება შევასრულოვო.

### უსსურის კაზაკთა დივიზია

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. 30 აგვ. სამხედრო ოლქის შტაბში მოვიდა უსსურის კაზაკთა ორი პოლკის დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, ჩვენი დივიზია კორნილოვის მიერ შეცდომაში იქნა შეყვანილი, გვეგონა, ფინეთის ყურის დასაცველად გვგზავნიდნენო. დელეგატები ითხოვენ საქირო სურსათს.

### მოწოდება მაჰმადიან ჯარისკაცებს.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. ლაშქრისა და ფლოტის ყველა მაჰმადიან ჯარისკაცს. უმაღლეს მთავარსარდალმა გენერალ კორნილოვმა კონტრრევოლუციონურ მიზნით დროებით მთავრობის წინააღმდეგ ამბოხება მოახდინა. გენერალი კორნილოვი დროებითმა მთავრობამ თანამდებობიდან გადააყენა და სასამართლოში მისცა. დროებით მთავრობის მხარეზეა რევოლუციური ლაშქარი და ფლოტი. დროებითი მთავრობა მოუწოდებს ყველა მაჰმადიან ჯარისკაცს დარჩნენ თავის ამხანაგებთან ერთად, რომელთაც არ უღალატეს რევოლუციასა და სამშობლოს, აასრულონ მხოლოდ ახალ უმაღლეს მთავარსარდლისა და მინისტრ-თავმჯდომარის კერენსკის ბრძანებები და მის რწმუნებულ კანონიერ მთავრობის ორგანოთა განკარგულებანი და წინააღმდეგობა გაუწიონ მეამბოხე გენერალ კორნილოვს.

### ფინლიანდიაში.

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 29. ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციათა კრებებზე დადგენილ იქმნა წინადადებით მიჰმართონ პოლკისა, როტისა და გემების კომიტეტებს, გამოარკვიონ, თანახმანი არიან თუ არა მხარი დაუჭირონ ცენტრალ დემოკრატიულს ორგანოებს. ასევე საჭიროა გამორკვეულ იქმნეს აფიცრობის მხარეზე? რა რეზოლუციებსაც გამოიტანენ, შემდეგ წარადგენენ თავთავიანთ კომიტეტების სახელით სადაც ჯერ არს.

### სევასტოპოლის მდგომარეობა.

**სევასტოპოლი,** მარიამობისთვის 31. ქალაქში სიწყნარეა. ფლოტის უფროსმა გადასწყვიტა ფლოტთან ერთად მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას და მტრის სასტიკი პასუხი გასცეს. მეცხოვნე ჯარები და მუშები დროებით მთავრობისკენ არიან.

### ყაზახთა ამბოხება მოსკოვის ოლქში.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 30. მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსმა პოლკოვნიკმა ვერხოვსკიმ შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა დონის ჯართა ატამანს გენერალ კალედინს: „ფრონტიდან ოლქში გამოიარა დონის ჯართა კაზაკის ეშელონმა სწორედ იმ დროს, როდესაც მტერმა ფრონტი გამოარღვია და პეტროგრადისკენ მოდის. უკვე ცნობები მივიღე, სადგური პოვარინის კაზაკებმა დაიჭირესო. არ ვიცი როგორ გავიგო ეს ამბავი. თუ ეს ნიშანია იმისა, რომ კაზაკობა ომს უცხადებს რუსეთს, მაშინ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ძმათა სისხლის ღვრას ერთსულოვნად შეხვდება რუსეთის მთელი მომქმედი ლაშქარი და დროებითი მთავრობა. ამიტომ, მოსკოვის ოლქში კაზაკთა გამოჩენას, ჩემს ნებას დაურთველად, აჯანყებად ჩავთვლი და დაუყოვნებლივ ბრძანებას გავცემ მათ მოსასპობლად. ძალა, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ მაქვს. მოუთმენლად ველი პასუხს. გამიფანტეთ ეჭვი, რომ ძმათა სისხლის ღვრა არ მოხდება მათ შორის, ვინც ამდენი ძალა და შრომა შეალია დიდ სახელმწიფო აგებას.

### საეკლესიო ყრილობა.

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 30. დღეს საეკლესიო დახურულს კრებაზე მიტროპოლიტ ტიხონის თავმჯდომარეობით განხილულ იქმნა პოლიტიკური საკითხები მომენტის შესახებ, უმთავრესად კორნილოვის ამბოხების გამო. კრებაზე მონაწილეობას იღებდენ მინისტრის ამხანაგი კოტლიარევსკი, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, თავადი ტრუბეცკოი და სხვანი. 40 ორატორზე მეტი გამოვიდა. ორატორთა სიტყვები უმთავრესად რეაქციის სულით იყო გაჟღენთილი. ზოგის სიტყვას უფრო წყნარი და შემარიგებელი კილო ჰქონდა. დადგენილია, შემრიგებელი ხასიათის ეპისტოლე იქმნას გაგზავნილი ერის წინაშე. ტექსტის შედგენა დაევალა საგანგებო კომისიას. ტექსტის წაკითხვა ხვალ დილით მოხდება კრების გახსნამდე, როდესაც სამშვიდობო პარაკლისს გადაიხდიან.

### მოსკოვის ჯარები

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 30. მოსკოვის სამხედრო ოლქს მოსდის მეცხოვნეთა ფიცი, დროებითი მთავრობის ერთგულები ვიქნებითო.

### უკრაინელთა სამხედრო საბჭო

**კიევი.** მარიამობისთვის 30. უკრაინის სამხედრო საბჭოს დეპუტატებმა დაადგინეს, კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად რადამ ხელთ იგდოს მთელი უკრაინის მართვა-გამგეობაო.

### კალედინის აგიტაცია

**პეტროგრადი.** დონის ოლქში გენერალი კალედინი აგიტაციას ეწევა კორნილოვის სასარგებლოდ, ნახიჩევანის რუსეთის დამცველ კომიტეტმა მთავრობას სთხოვა კალედინი დაუყოვნებლივ დაპატიმრებული იქნესო.

### პეტროგრადის გუბერნატორი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. დროებითი მთავრობის ახალი ბრძანებით სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს პალჩინსკის ევალება პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ასრულება.

### ბოლშევიკების განთავისუფლება.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. კონტრ-რევოლუციასთან მებრძოლი კომიტეტი იუწყება, რომ ახლო მომავალში განთავისუფლებული იქნებიან 3—5 ივლისს დაპატიმრებული ბოლშევიკები. კომიტეტი ამით სასამართლოს მოხსნასაც კი არ ჰკულისხმობს, არამედ ამ პირთა საქმის განხილვამდე განთავისუფლებას. ამასთანავე კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველი თვითნებური გამოსვლა მხოლოდ პანიკასა და არევ-დარევას უწყობს ხელსაო.

### გენერალი ვალუევი.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. სამხრეთ დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალი გენერალი ვალუევი მთავრობის მხარეზეა და მინსკის კომიტეტთან ერთად მოქმედობს. ჯარმა მტკიცედ გადასწყვიტა მხარი დროებით მთავრობას დაუჭიროს.

### ყაზახთა კავშირის საბჭო.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. ცენტრალ კომიტეტის ყაზახთა სექციამ დაადგინა ყაზახთა კავშირის საბჭოს წარმომადგენლები გაუგზავნოს იმის შესატყობად თუ რა დამოკიდებულება აქვს მას მომხდარ ამბებთან. სექციამ დაადგინა რომ რადგან ზემოხსენებული საბჭო კრიტიკულის თვალით უყურებს მთავრობის მოქმედებებს და კორნილოვის მოქმედებასაც არა ჰკიცხავს, ჩვენ გადავსწყვიტეთ კავშირის დამოუკიდებლად მოქმედება.

### კავკასიელთა დივიზია

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. გაზეთებმა კავკასიელთა დივიზიის შესახებ სისწორეს მოკლებული ცნობები გაავრცელეს. ამის გამო ვირიცის სადგურში მყოფი მაჰმადიანთა წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დივიზიის ნაწილებმა უკანასკნელ წუთებამდის არ იცოდნენ თუ რა მიზნით მიდიოდნენ პეტროგრადში. როდესაც შეიტყვეს—განაცხადეს, რომ ჩვენ შინაურ პოლიტიკის გარეშე ვდგევართ და ჩვენი ვალი მხოლოდ სამშობლოს დაცვა არისო.

### კორნილოვი ადესას ემუქრება

**ადესა.** მარიამობისთვის 30. რამდენიმე პირი დააპატიმრეს, რომელთაც კონტრ-რევოლუციონერობა ბრალდებათ. დაპატიმრებულთა ვინაობას არ აქვეყნებენ.

რევოლუციურ მთავრობის წარმომადგენლებმა მთავარ ბანაკთან ტელეფონით დაიწყეს ლაპარაკი. ბანაკიდან მიიღეს პასუხი თუ არა, რომ იქ მყოფნი თავიანთ სარდლად ისევ კორნილოვსა სთვლიან, მაშინვე შესწყვიტეს ლაპარაკი.

ცნობა მოვიდა, რომ კავკასიის ველურთა დივიზიამ ბრძანება მიიღო კორნილოვისგან ადესისაკენ გაილაშქრეთო. დივიზიის უფროსნი შეეკითხნენ ფრონტის კომიტეტს, როგორ მოვიქცეთო. როდესაც კომისარიატმა საქმის ვითარება განუმარტა, დივიზია აღარ დაემორჩილა კორნილოვის ბრძანებას და ახალ მთავრობის მხარე დაიჭირა. საზოგადოდ ადესაში ფრთხილობენ და კორნილოვის მოწოდებათა გამვრცელებელთ იჭერენ.

### ხარლამოვის გაზეთი

**დონის როსტოვი.** მარ. 30. რევოლუციის დამცველ კომიტეტმა ხარლამოვის გაზეთი „როსტოვსკაია რეჩ" წინასწარ ცენზურას გადასცა. ხარლამოვმა პროტესტი გაგზავნა კერენსკისთან.

### მდგომარეობა პეტროგრადში

პირდაპირი მავთულით გადმოცემულ დეპეშის მიხედვით, პეტროგრადში სულიერი განწყობილება ხალხისა ფხიზელი და შეურყეველია.

## კორნილოვი მოგილევში

**მინსკი,** მარიამობისთვის 31. ორშაში ჩამოსულები იტყობინებიან; მარიამობისთვის 29-ს კორნილოვმა მოგილევში საალყო წესები გამოაცხადა. მის მომხრე ჯარმა ორშის მატარებლები დაჩხრიკეს. მოგილევში იპყრობდნენ დროებით მთავრობის მომხრეებს და კორნილოვის განკარგულებებს ასრულებდნენ. კორნილოვმა მოგილევში და მახლობელ საჭირო პუნქტებში განსაკუთრებულ რწმუნებულობით აღჭურვილი კომისარები დაგზავნა.

## აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების შეერთებული სხდომა მოხდა. დანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ კომისიამ ყველა ზომები მიიღო კორნილოვის შეთქმულობის ჩასაქრობლადაო. ყველა ზომები სამხედრო სამინისტროს მიერ მოწონებულ იქმნაო. შრომის მინისტრმა სკობელევმა განაცხადა, კორნილოვის გამოსვლა ჩაქრა, კონტრ-რევოლუცია უდღეური გამოდგა. ახლო მომავალში შეიქმნება ... გამგებლობის ტექნიკურს მხარესაო. მთავრობა რევოლუციურ დემოკრატიასთან შეთანხმებით მოქმედობს. მაგრამ დღევანდელმა გამარჯვებამ არ უნდა მიგვაძინოს, ვინაიდან შესაძლებელია კონტრ-რევოლუციონერებმა ხელახლად თავი წამოყონო. ამის მაგალითს იძლევა გენ. კალედინი, რომელმაც კორნილოვს მხარი დაუჭირაო. საბედნიეროდ ჯერ წვეთი სისხლი არ დაღვრილა. შემდეგ სკობელევმა გაახსენა კრებას, რომ სამხედრო სამინისტროს გამგებლობა დაევალა გენერალ ვერხოვსკის, ხოლო საზღვაო მინისტრის ადგილი ადმირალ ვერდერევსკის. რაც შეეხება მთავრობას, აქაც მოხდა ერთგვარი ცვლილება. ახალმა ამბებმა ცხად ჰყვეს, რომ კაბინეთში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ იმათ, ვისაც ასე თუ ისე კორნილოვთან რაიმე საქმე დაუჭერიაო. (ხმები: არ შეიძლება, უფრო კონკრეტად ილაპარაკოთ?) ის პარტია, ვინც თავის ორგანოს ფურცლებზე განაცხადა, რომ კორნილოვი რეალ ძალას წარმოადგენსო, ვისაც ანგარიში უნდა გაუწიოთო, არ შეიძლება იმედოვნებდეს, რომ კაბინეთში მას როდისმე ექნება ადგილი, ვინაიდან ასეთს დროს კაბინეთში სრულიად უეჭვო დანდობით აღჭურვილნი უნდა ისხდნენ. მხოლოდ ასეთს მთავრობას შეუძლიან რუსეთის ჭრილობანი გამჰკურნოს და ქვეყანაც დემოკრატიულს იდეალებს აზიაროს!

სკობელევის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ავქსენტიევმა ილაპარაკა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ კორნილოვის აჯანყების გამო მთავარი ბანაკი სამი დღის განმავლობაში ცარიელი დარჩა და ჯარებს ხელმძღვანელი არა ჰყავდაო. (ხმები: „სირცხვილი!.."). თუ რომ მთავრობა განსაკუთრებული გარემოების მიხედვით იძულებული გახდა სასჯელის ზომები აღედგინა, რაც კი საუკუნეთათვის ჩაბარებული და სამარცხვინო გვეგონა, ეხლა ხელახლად შემოღებულ უნდა იქმნეს კორნილოვის გასამართლების დროს, რომელიც ასე სასტიკად მოითხოვდა დამნაშავე ჯარისკაცთა დასასჯელად. სასჯელის უკანასკნელი სიტყვა რევოლუციურს სასამართლოს ეკუთვნის, მაგრამ დროებითი მთავრობა არას გააკეთებს მისი ბედის შესამსუბუქებლად (ტაში). ამბოხება ჯერ არ ამოწურულა. გენერალი კალედინი სცდილობს კორნილოვის მზგავსად აჯანყდეს და მთელი დონის მხედრობა ამბოხების ცეცხლში გახვიოს. ამას სჩადიან ის ხალხი, რომელნიც მოსკოვის თათბირზე ბევრს ლაპარაკობდნენ სამშობლოს სიყვარულზე. მთავრობის შემადგენლობაშიც უნდა მოხდეს ცვლილება: აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მათ, ვინც მკვეთრად არ გაიხაზავს თავიანთ დამოკიდებულებას რევოლუციასთან და ამბოხებასთან და ვინც მეამბოხე გენერალთან მოლაპარაკება შესაძლებელი სცნო.

შემდეგ გამოვიდა **წერეთელი.** მან ხაზი გაუსვა, რომ კონტრ-რევოლუციაზე გამარჯვება მოხდა დემოკრატიულ ყველა ძალთა შეთანხმებითაო. მთელი რუსეთი კორნილოვს ჩამოშორდა და რევოლუციურს დემოკრატიას მიემხროვო. შემდეგ დასძინა: კოალიციის იდეამ გაიმარჯვა და ეს უნდა ბოლომდინ დაცული იქმნესო. მთავარი ბანაკიდან უნდა განდევნილ იქმნენ ის ელემენტები, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა კორნილოვთან. საჭიროა ერთი ორგანიზაციის დაარსება, რომელიც თავს მოუყრის მთელს დემოკრატიას. ბოლოს წერეთელმა მოითხოვა მე-4 სათათბიროს დათხოვნა.

# ომი და ზავი

## რუსეთის ფრონტი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. ოფიციალური. **ჩრდილოეთის ფრონტი.** ჩვენ ცხარე ბრძოლის შემდეგ პლავუდას ტბის სამხრეთით მთა დავიჭირეთ და სკენტარსი და მუიჟის ხაზზე გავმაგრდით. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**დასავლეთის ფრონტი.** სროლაა.

**სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტის** ცნობები არ მიგვიღია.

**პეტროგრადი.** მარ. 31. ოფიციალური. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით ჩვენი მოწინავენი წინ მიიწიეს. ზღვის ნაპირის რაიონში ჩვენ სოფელი კულისი დავიჭირეთ. პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით ლატიშელ ბატალიონებმა სოფელი პელნე დაიჭირეს და რენტრას მიმართულებით წინ წაიწიეს. ჩვენ მოწინავეთა ხელშია მორიცბერგის-ვაკე-დისურუმ- მხერსუენისა და მინჭონეს, ნიკაგადასის ხაზი. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**პეტროგრადი.** მარ. 31. ოფიციალური. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით ჩვენი მოწინავენი და მზვერავები მდინარე ინხედეს ცეგენგოფ-პაუსკეს და ზეგევოლდ-ლეპელალა-პაირის ასპარეზზე შეჩერდნენ. იაკობშტადტის რაიონში მოწინავე რაზმებს სროლა აქვთ. სვენციანის მიმართულებით გაცხარებული საარტილერიო მოქმედებაა. ვიძის სამხრეთით სოფელ გერმანოვშჩიხნაში რამდენიმე აფეთქება მოვახდინეთ ცეცხლით.

**რუმინეთის ფრონტი.** რადაცცის ქალაქის სამხრეთ რაიონში ჩვენებმა სოლკას-სამხრეთით ერთი სიმაღლე დაიჭირეს. წამოვიყვანეთ 400 ავსტრიელი და 12 ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი.

**კავკასიის ფრონტი.** სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** კტი-ვიზერგულის მიმართულებით ჩვენი 11 მფრინავი მტერს თავს დაესხა და სროლა აუტეხა. მტრის ერთი ჰაეროპლანი სოფელ კორქასთ ნ დავაზიანეთ. მეორე ლეიტენანტ ბრიულიარმა ჩამოაგდო. რასიმის ტბის პირას მტრის ჰიდროსადგურს 9 ფუთამდი ყუმბარა ესროლეთ.

## საფრანგეთის ფრონტი

**პარიზი.** მარიამობისთვის 30. რეიმსის აღმოსავლეთით დიარუაიერის ფერმის მიმართულებით და მეზონ დე შამპანის რაიონში წუხელ გერმანელებს მოულოდნელად თავს დავესხით. მაასის მარჯვენა მხარეზე გერმანელებს დეფოისისა-კარიერის ტყის უბნებში წუხელ კონტრ-იერიშები მოჰქონდათ. მტერი მოვიგერიეთ. ზოგან ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენებმა ასპარეზები შეინარჩუნეს. ჩვენს მზვერავებს ბრძოლის ხაზის წინ 1000-მდე გერმანელთა გვამები ენახათ. მაასის მარცხენა მხარეზე ორსავ მხრის არტილერია ენერგიულად მოქმედობდა.

**პარიზი.** მარ. 30. ოფიციალი. ბელგეთში. დრიგრახტენისა და დიკსმოიდეს უბნებში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში ობერივის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სენტ-იდერ, სენტ-სუპლეს გზის აღმოსავლეთით გერმანელებს მარჯვედ დავესხით თავს. გერმანელ მეციხოვნეთა ნაწილი ამოვწყვიტეთ, ნაწილიც ტყვედ წამოვიყვანეთ. ავაფეთქეთ მრავალი საფარი და უთვალავი სამხედრო მასალა წამოვიღეთ. ტამიგრას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ. მაასის მარჯვენა მხარეზე კარიერის ტყისა და იანზის ჩრდილოეთით გერმანელთა ორი იერიში მოვიგერიეთ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მარ. 31. ოფიციალი. აეიკურის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ბიულეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლომბარძიუდეს სამხრეთით მტერზე მარჯვე იერიში მივიტანეთ. ნევმაპელისა და იპრის უბანში მტრის არტილერია მოქმედობდა.

**ბრიტანეთის საადმირალოს ცნობა.** ჩვენი ჰაეროპლანები მტრის 9 ჰაეროპლანს შეეხვნენ და ნ მათგანი დააზიანეს. ჩვენმა მფრინავებმა სროლა აუტეხეს სენდენის, ვესტრემის და გონტარდეს ჰაეროდრომებს. მარიამობისთვის 29-ს ჩვენმა მფრინავებმა პარაპედუხენეს ჰაეროდრომებს და ტყის საწყობებს აუტეხეს სროლა. ტყეში ცეცხლი გააჩინეს. მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ.

## იტალიის ფრონტი

**რომი.** მარ. 29. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა, გარდის ტბის აღმოსავლეთით კონნაის ღელესა და ლედროს ტბის შუა მტერმა იერიში მოიტანა მოწინავე ადგილებზე და ერთი მათგანი დაიპყრო. ტიმაკოს ღელეს შემოსასვლელში მტრის რაზმები შევაჩერეთ.

**რომი.** მარ. 31. ოფ. ვანნოიცას ზეგანზე მტერმა ჩვენს ასპარეზებზე მოიტანა იერიშები. ბრძოლა მონტესან-გაბრიელის წვერთან და დასავლეთ კალთებზე გაჩაღდა.

**საფრანგეთ ს სამინისტროს გადადგომა**

**პარიზი.** მარ. 30. პენლევემ აუწყა პუანკარეს, რომ მან ვერ მოახერხა ეროვნული ერთიანობის სამინისტროს შედგენა.

**საჰოსპიტალო გემები**

**პარიზი.** მარ. 28. ესპანეთის მეფის ჩასვლის შემდეგ ხმელთაშუა ზღვაში საჰოსპიტალო გემებს თავისუფლად შეუძლიანთ მიმოსვლა. გერმანელთა წყალქვეშანი აღარ დაეცემიან მათ, თუ თან სამხედრო გემები არ ახლავთ. ესპანეთის მეფე დასთანხმდა საჰოსპიტალო გემებზე იყოლიონ დელეგატები, რათა გემები პირდაპირ დანიშნულებას ემსახურებოდნენ. გერმანელთა სამხედრო ტყვეებს საჰოსპიტალო გემებიდან გადმოიყვანენ. თავისი მხრით გერმანეთი ფრანგ ტყვეებს გამოიყვანს იმ პუნქტებიდან, სადაც გაგზავნილი ჰყავდა ერთგვარ სასჯელის მოსახდელად.

# გერმანელთა შტაბის ცნობა

**მარიამობისთვის 22.**

## დასავლეთის ფრონტი.

**კრონპრინცის ფრონტი.** ფლანდრეთში ლანგემარკაზის და ვარნესტონის შუა დღისით ძლიერი არტილერია მოქმედობდა. ლენსის ჩრდილო-დასავლეთით წუხელ მტერმა იერიში მოიტანა და ჩვენს ასპარეზშიც შემოიჭრა, მაგრამ მალე კონტრიერიშით უკუვაქციეთ.

**კრონპრინცის ფრონტი.** შამპანში ფრანგებმა სომდი-სუენის გზასთან მოიტანეს იერიში. კონტრიერიშით დროებით დაჭერილი ჩვენი თხრილები დავუბრუნეთ. ვერდენთან კვლავ დიდი ცეცხლი მძვინვარებს. მაასის აღმოსავლეთ მხარეზე წუხელ ორსავე მხრის არტილერია მოქმედობდა.

**ჰერცოგ ალბრეხტის ფრონტი.** მოზელის დასავლეთით რეშენოვილთან ფრანგი ტყვეები ვიგდეთ ხელთ. მარიამობისთვის 21-დან ჩვ ნი მფრინავები კალესა და დიუნკირხენს უშენენ ყუმბარებს. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა დოვერს აუტეხეს სროლა დღე—ჩატამს, ტრირნოსს და რამოგატეს.

## აღმოსავლეთის ფრონტი

**გენერალ-ფელდმარშალ პრინც ლეოპოლდ ბავარიის ფრონტი.** გუშინ ორი დღის ბრძოლის შემდეგ მე-8 ლაშქარი გენერალ ფ. ხუტნერის წინამძღვარობით დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან რიგაში შევიდა. ბრძოლაში გამოწრთობილი ჩვენი ჯარი ყველგან სძლევდა რუსების წინააღმდეგობას. დვინისა და რიგის დასავლეთით ხიდის წინ მდებარე სიმაგრეები რუსებმა დიდის სიჩქარით დასტოვეს. ჩვენი დივიზია უსტ-დვინსკთან სდგას. რუსის ჯარის ბრბო რიგიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მიდის. ვენდენის დიდ გზის სამხრეთით მდინარე დიდ ეზელის ორსავ მხარეს რუსის ძლიერი ძალა ჩვენს ჯარს ეკვეთა, მაგრამ ჩვენ ვძლიეთ. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ათასი რუსი ტყვე, 150 ზარბაზანი და მრავალი სამხედრო მასალა. რიგასთან ბრძოლა—ეს ახალი სანაქებო სტრიქონია გერმანელ ლაშქრის ისტორიაში.

**გენერალ პოლკოვნიკ ერც-ჰერცოგ იოსების ფრონტი.** ჩერნოვიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით ავსტრიელ პოლკებმა რუსების სიმაღლე დაიჭირეს. სერეტისა და მოლდავის შუა გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა.

**გენ.-ფელდმარშალ ფ. მაკენზენის ფრონტი.** ფუქშნის ჩრდილო-დასავლეთით, მუკსელუდესთან რუს-რუმინელების იერიშები მოვიგერიეთ.

**მაკედონიის ფრონტი.** გუშინ მტრის ჯარს იერიშები აღარ მოუტანია.

**ხაღამოს ცნობა.** 21 საათი. დასავლეთით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. აღმოსავლეთით რუსები ლიფლიანდიის მდინარე ააზე გადავიდნენ. მტერმა უსტ-დვინსკი დასცალა.

# რუსეთი და უცხოეთი

**ჰაეროპლანებით მიმოსვლა**

**სტოკჰოლმი.** მარ. 29. ჰუფარობენ, შვეციისა და ფინლიანდიის შუა მგზავრობა და ფოსტა ჰაეროპლანებით მოაწყოს. თითო ჰაეროპლანი 4—6 კაცს გადაიყვანს. სტოკჰოლმიდან პეტროგრადამდე 23—28 საათს მოუხდება.

**რუსეთის ხესხი იაპონიაში**

**ტოკიო.** მარიამობის. 39. რუსის ელჩმა რუსეთის ახალ სესხის ხელშეკრულობაზე ხელი მოაწერა. იაპონიის სახელმწიფო ბანკიდან აღებული იქნება 105 მილიონი იენი.

# უკანასკნელი დეპეშები

## პეტროგრადიდან

შეიქმნა მუშათა მილიცია. მილიციაში 50,000 კაცია. იგი დეპუტატთა საბჭოს განკარგულების ქვეშ იქნება.

—

„დენ“-ი სწერს: კონტრ-რევოლუციის პირველ გამოსახულების ჩაქრობა ცენზიან ელემენტების ფართე კომპრომისების დასაწყისად ჩაითვლება.

## მოსკოვიდან

გაზეთები აუწყებიან: კონტრ-რევოლუციონერებს მოგილევს დაატყვევებენ. მთავარსარდალი კერენსკი ბანაკში იქნება.

—

პეშეხონოვმა განაცხადა: შეამხზე გენერლები სიკვდილით დაისჯებიან.

—

სასტუმრო „ასტორია“-ში 14 კაცი შეიპყრეს. მათ შორის სამხედრო ლიგის თავმჯდომარე ფედოროვიც მოჰყვა.

—

შეიპყრეს პეტროგრადის საცენზურო კომისიის თავმჯდომარე კლერჟე.

—

როსტოვში კალედინის შეპყრობის შესახებ ავრცელებენ ხმებს.

# ქრონიკა

## თბილისი

**ამიერ-კავკასიის კომიტეტის დაშლა.** თბილისში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს თავმჯდომარე ხარლამოვი და კომიტეტის წევრი პაპაჯანოვი თანამდებობიდან უნდა გადადგნენო. აგრეთვე ამბობენ, რომ აკაკი ჩხენკელს დიდი უფლებები მიანდო დროებითმა მთავრობამაო. ხარლამოვთან ეხლა მოხოვნილები ვერ შედიან.

**ბ-ნნი პაპაჯანოვი და ჯაფაროვი,** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი, გუშინ, ღამით, თბილისში დაბრუნდნენ ერევნის გუბერნიიდან.

**ახალ ქართულ ბათალიონში,** რომელიც დროებით მოთავსებულია საბურთალოზე, 29 აგვისტოს, საღამოს გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ალ. ლომთათიძემ, ნიკოლოზ ქარცივაძემ და სერგო ქარქოლიანმა. ორატორებმა ილაპარაკეს თანამედროვე მდგომარეობაზე და კორნილოვის ავანტიურიულ გამოსვლაზე და მოუწოდეს ჯარისკაცთ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაში და მზად იყვნენ ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრის მოწოდებისთანავე იარაღით ხელში დაიცვან თავისუფლება. ორატორთა ლაპარაკს ჯარისკაცები ტაშის ცემით მიეგებნენ. მიტინგის შემდეგ გაიმართა კრება ბათალიონის კომიტეტის და აფიცრების, სადაც გაირჩა საკითხი ბათალიონის კომიტეტსა და აფიცერთა შორის დამოკიდებულების შესახებ. გამოირკვა, რომ მათ შორის სრული თანხმობაა. დისციპლინის შესახებ კომიტეტსა და ამიერ-კავკასიის ცენტრის შორის დამოკიდებულების შესახებ დაადგინეს იმოქმედონ სრული თანხმობით ამიერ-კავკასიის ჯარების ცენტრთან.

**კონტრ-რევოლუციონერების ჩხრეკა და დატუსაღება.** მარიამობისთვის 31-ს, ღამით, თბილისში დაატუსაღეს ბევრი თანამოაზრენი შეთქმულობისა, ბევრი სახლი გაჩხრიკეს და აღმოჩნდა, რომ დიდი მზადება ყოფილა სამხედრო შეთქმულობის სისრულეში მოსაყვანად. სწრაფი გამოძიება სწარმოებს.

**უსუფთაობა თბილისში.** უკანასკნელ დროს თბილისის ქუჩები მეტად გაბინძურდა. ამას წინად, მაგალითად, გოლოვინის პროსპექტზე რამდენიმე დღეს ეგდო მკვდარი ცხენი, გუშინ კიდევ სასახლის მოედანზე მთელი დღე ეგდო დამხრჩვალი კატა. საავადმყოფო მოედნების სიბინძურე კიდევ უფრო მეტია. ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია მილიციის უფროსმა ივ. კაჩუხაშვილმა და ბრძანება გამოსცა მილიციონერების საყურადღებოდ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ქუჩებისა და ტრამვაის ლიანდაგის დასუფთავება სახლების პატრონთა მოვალეობას შეადგენს და თითოეულ შემთხვევაში ღონისძიება იხმარეთ, რომ მათ შეასრულებინოთ მათი მოვალეობაო.

**აგიტატორების დაჭერა.** მარიამობისთვის 29-ს თბილისში დაიჭირეს შტ.-კაპიტანი მათვეევი და ფერშალი ბალკინი, რომელნიც ქუჩებში აგიტაციასეწეოდნენ დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

**ავტომობილის მსხვერპლი.** 1 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ერევნის მოედანზე ვიღაც უცნობი ქალი გაიტანა სამხედრო ავტომობილმა, რომლის ნომერი ვერ შენიშნეს. ცოცხალმკვდარი ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს.

**აკაკი ლეჟავა** თბილისის პირველი უბნის კომისრად დაინიშნა.

**საეკლესიო კრებაზე** დასასწრებლად და კათალიკოსის ასარჩევად სიონის ტაძრის საბლაღოჩინომ აირჩია: სამღვდელოების მხრივ დეკ. მ. ტყემალაძე და მთავარდიაკონი ლ. სალარიძე, მრევლის მხრივ—ვ. ი. რცხილაძე და ი. ბახტაძე.

**მანეთის ფასი.** ერობათა კავშირის ამიერ-კავკასიის კომიტეტს ატყობინებენ სპარსეთიდან კავშირის რწმუნებული, რომ რუსული მანეთი სპარსეთში 7 კაპ. ფასობსო.

**ქალაქის გამგეობაში** მუშაობა იწყება დილის 9 $^1/_2$ საათზე და თავდება ნაშუადღევის 3 საათზე.

**უბილეთოთ მოგზაურობა.** ქალაქის გამგეობას სთხოვეს თბილისის ყველა მომქმედ კომიტეტებისა და საბჭოების წევრებმა მუქთი წიგნაკები ტრამვაის ვაგონებით უსასყიდლოდ სამოგზაუროდ. გამგეობამ ამ შუამდგომლობის წინასწარ განხილვა სატრამვაიო კომისიას მიანდო.

**ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება.** კვირას, 3 ენკენისთვეს, დილის თერთმეტ საათზე, ამიერ-კავკასიის ბანკის ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 5) დანიშნულია თბილელ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება, რომელზედაც არჩეულ უნდა იქმნენ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის რწმუნებულნი.

**ქალაქის საბჭოს ნაკაზი.** მარიამობისთვის 31-ს ქალაქის საბჭომ განიხილა და რამდენიმე ცვლილების შეტანით დაამტკიცა საბჭოს სახელმძღვანელო წესრიგის (ნაკაზის) პროექტი.

**საქონლის დაჭერა.** 1 ენკენისთვეს თბილისის მე-9 უბანში დაიჭირეს 4 ტომარა შაქარი და 5 ყუთი ასანთი, რომელიც სპარსეთში უნდა გაეგზავნათ.

## ქუთაისი

**შეშის ფასი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ შეშა საჟენი სახლში მიტანით ეღირება 180 მან.

**ცნობა გუბერნიის კომისარს.** მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო გუბერნიის კომისარს, გრ. გიორგაძეს აცნობებს, რომ სოფელ-მაზრებში დადიან უცნობი პირები, თავის თავს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს რწმუნებულებად სთვლიან, ახდენენ ჩხრეკას და ატუსაღებენ ხალხს.

## ს. ხაშური.

**ბორჯომ-ხაშურის** რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ მიხაილოვს (ხაშური) ქალაქად აქცევს.

## სარიყამიშ-აზრუმი.

**ქალების მოგზაურობის აკრძალვა.** სარიყამიშის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ყარსისა, გუმბრისა და თბილისის კომიტეტებს იხმარონ ღონისძიება, რომ სარიყამიშსა და აზრუმში ქალები არ წავიდნენ ამ ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტების ნების დაურთველად.

**გაჭირვება აზრუმში.** თბილისში ჩამოვიდა აზრუმის კომისარი ი. ა. გლოტოვი და ამბავი მოიტანა, რომ იქ დიდი გაჭირვება არისო; ქალაქში არ მოიპოვება პური და მეტად გავრცელებულია ათასგვარი სნეულებაო.

# კავკასიის სარევოლუციო ცენტრალი კომიტეტი

მარიამობისთვის 30-ს შეერთებული სხდომა ჰქონდათ სალდათებისა, მუშებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოებს. კრებას თავმჯდომარეობდა ევ. გეგეჭკორი. შექმნილ პირობების შესახებ მოლაპარაკების შემდეგ, კრებამ აუცილებელ საჭიროდ სცნა შედგენა კავკასიის დროებითი სარევოლუციო კომიტეტისა, რომელიც სრული უფლებებით უნდა იყვეს აღჭურვილი. ასეთი კომიტეტის მოწყობა კრებამ დაავალა გეგეჭკორს. თანახმად დავალებისა ევ. გეგეჭკორმა კომიტეტი იმავე დღეს შეადგინა, რომელშიაც წევრებად შედიან ყველა სარევოლუციო ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენელნი. ამ კომიტეტს იმავე 30 მარიამობისთვეს, საღამოს 6 საათზე, კრება ჰქონდა და აირჩია კომისიები: სამხედრო, სამოქალაქო და დამტუსაღებელი და აგრეთვე დანიშნა კომისარები ყველა კორპუსებში გასაგზავნად ბრძოლის ველზე.

# ქართულ ეკლესიის გარშემო

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარემ ხარლამოვმა გუშინ, ენკენისთვის პირველს, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სარწმუნოების მინისტრს: მიუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ თბილისში საგანგებო კომისია, რათა ცხოვრებაში გატარებულ იქმნას ძირითადი დებულებანი საქართველოს ეკლესიისა და განსაზღვრულ იქმნას საეკლესიო დაწესებულებანი და ქონება. ეგზარხოსის სახლის დაჭერა ნაყოფია გამოურკვეველ მდგომარეობისა, რომელიც მომავლისთვისაც საშიშროებას წარმოადგენს. სახლი დაიჭირეს მარიამობისთვის 23-ს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის ნებადაურთველად, თუმცა წინად საქართველოს საეკლესიო საქმეთა დროებით სამმართველოს დეპუტაციამ კი გამოცხადა მე, რომ ეს სახლი ქართულ ეკლესიის საკუთრება არისო. დაწვრილებითი ცნობებს ფოსტით ვგზავნი. კათალიკოზის მოსაყდრის გაყვანა სახლიდან შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან ასეთი მოქმედება დიდ მღელვარებას გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში, რომელიც დარწმუნებულია, რომ ავტოკეფალიის განხორციელებას განგებ აფერხებენო და ქართველების ასეთ სულიერ განწყობილებას შეუძლიან ეროვნებათა შორის განხეთქილების ჩამოგდება.

# რუს-ქურთების ხელშეკრულება

**თეირანი.** მარიამობისთვის 30. სენნეს მახლობლად სერდარ-რეშიდის თავმჯდომარეობით ქურთისტანის 27 ტომთა წარმომადგენლების ყრილობა მოხდა. ყრილობაზე გენერალი ბარათოვიც დაესწრო. მას მოჰყვნენ სალაშქრო კომიტეტების წარმომადგენლები, შტაბის წევრები და სპარსეთის დემოკრატები. ყრილობაზე ხელი მოაწერეს რუს-ქურთების ხელშეკრულებას. ხელშეკრულება აღიარებს ქურთისტანების ტომთა თანასწორობას პრინციპს და სპარსეთის ხელშეუხებლობას. სპარსეთი რუსეთთან ძმურ კავშირს აღიარებს. ხელშეკრულებას ყველა დიდმნიშვნელოვანს აწერს. სამხედრო კომიტეტები ჯარისკაცთა შორის რუს-ქურთთა დაახლოვებლად პროპაგანდას ეწევიან. ეს საერთო მდგომარეობას აუმჯობესებს.

# პროვოკატორების გასამართლება

საგუბერნიო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს, „ოხრანკის“ აგენტების გასამართლება, მარიამობისთვის 26-ს შეუდგა საქმეს და ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია. პირველად გარჩეულ იქმნა საქმე რკინის გზის სახელოსნოების მუშად ნამყოფის კოპალეიშვილისა, რომელიც რევოლუციის პირველსავე დღეებში მუშათა დეპუტატების საბჭოში იქმნა გაგზავნილი მუშების დეპუტატად. კოპალეიშვილს ბრალდებოდა, რომ ის სოც.-დემოკრ. პარტიის ბოლშევიკების ფრაქციის წევრად ირიცხებოდა და იმავე დროს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს აგენტადაც იყო და თავისს ამხანაგებს აბეზღებდა. მაგალითად, მან გასცა ქავთარაძე და სხ. კომისიამ დაადგინა, რომ კოპალეიშვილი ღვინობისთვის ოცამდე იჯდეს ციხეში.

შემდეგ კომისიამ განიხილა 6. ახმეტელაშვილის საქმე, რომელიც დატუსაღებულ იქმნა ჟანდარმთა პოლკოვნიკის პასტრიულინის ჩვენებით. პასტრიულინმა განუცხადა საგანგებო საგამომძიებლო კომისიას, რომ ახმეტელაშვილი „ოხრანკის“ აგენტად იყოვო. ახმეტელაშვილმა კომისიას განუცხადა საქმის გარჩევის დროს, რომ ის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრად არ ყოფილა და არც „ოხრანკის“ აგენტად და არც შეეძლო ასეთი აგენტობა. პოლკოვნიკმა პასტრიულინმა ხუთჯერ დამიჭირა სისხლის სამართლის წესითო. კომისიამ დაადგინა განთავისუფლებულ იქმნას ბრალდებულიო.

განხილულ იქმნა აგრეთვე კობიაკოვას საქმე, რომელიც ყველაფერში გამოტყდა და კომისიამ 20 ღვინობისთვემდე სატუსაღოში ჯდომა მიუსაჯა მას.

გაარჩიეს აგრეთვე თბილისელ ჟურნალისტის კობიაკოვის საქმე იგი ოხრანკის წევრი ყოფილა და თვიურად 100 მანეთს იღებდა. კობიაკოვმა გულახდილად აღიარა სასამართლოში, რომ ოხრანკის თანამშრომლობა ჟანდარმთა მუდმივ დევნამ აიძულა. ჟანდარმები ციმბირში გადასახლებას უქადდნენ, ამან აიძულა „სული გაეყიდნა“. სხვათა შორის კობიაკოვი გამოტყდა, რომ მან სტასოვის ჯგუფი გასცა. კომისიამ დაადგინა ამ წლის ღვინობისთვის 20-მდე კობიაკოვი დაჭერილი იყოლიოს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ა. ხ. ლულაძემ განაცხადა: „მე-52 წელს ქუთაისის გიმნაზია გავათავე; ეხლა ჟურნალისტი ვარ. თავმჯდომარემ წაიკითხა პოლკოვნიკ პასტრიულინის ჩვენება, რომელიც მოწმობს, რომ ვითომც ლულაძე ოხრანკას მუსულმანებისა და ქართველების ბლოკის შესახებ აწვდიდა ცნობებს. თუ ხსენებულ ჩვენებას დაუჯერებთ ლულაძეს ცნობები უწვდია აგრეთვე გერმანელთა წყალქვეშით შავი ზღვის ნაპირზე გაორგი მ ჩ ბლის გადმოსვლის შესახებ ლულაძის ცნობით—მაჩაბელს გერმანელების იარაღი მოუტანია კავკასიაში. ლულაძე არც ქართულ გაზეთებსა და მის თანამშრომელთა შესახებ აკლებდა ცნობების მიწვდას. „ოხრანკაში“ ლულაძე ივანოვის სახელით ყოფილა ჩაწერილი. ხსენებულ ბრალდებების გამო ლულაძემ განაცხადა, რომ მას სირცხვილად მიაჩნია თავის გამართლება, ...... ბრალდებებს აბრალებენ. ლულაძემ მოითხოვა პოლკოვნიკ პასტრულინის დაკითხვა. კომისიამ დაადგინა შეიწყნაროს ლულაძის შუამდგომლობა და საქმის განხილვა პოლკოვნ კ პასტრულინის დაკითხვამდე გადასდო. უკანასკნელის დაკითხვა დანიშნული იყო მარიამობისთვის 28-სათვის. პოლკოვნიკ პასტრულინმა განაცხადა, რომ ლულაძე „ოხრანკის“ თანამშრომლად არ ყოფილა. იგი დაბარებული იყო მმართველობაში პირად საქმეების გამო და ლაპარაკის დროს საერთო ცნობები მოიყვანა ქართულ გაზეთებსა და მის თანამშრომელთა შესახებ. ამასთან არც მათი გვარები უხსენებია.

კომისიამ ლულაძე გაანთავისუფლა.

# მაჰმადიანთა ჯარის საბჭოს წესდება

1) მუსულმანთა ჯარის ორგანიზაციას შეადგენენ:

ა) წარმომადგენლების საბჭო აღმასრულებელ კომიტეტით და აგრეთვე მუსულმანთა სხვა კომიტეტები, რომლებიც ჯარის შემადგენლობაში შედიან.

2) აღმასრულებელ კომიტეტად აღმასრულებელი კომიტეტი ითვლება. კომიტეტი 24 წევრისაგან შესდგება. მათ საერთო კრება აირჩევს ორ ხარისხოვან ხმის მიცემით (ფარულით და პირდაპირის ხმის მიცემით). წევრები სამი თვის ვადით აირჩევიან.

3) აღმასრულებელი კომიტეტი თვით აირჩევს თავის შორის: თავმჯდომარეს, მის ორ ამხანაგს, ორ მდივანს (ერთი საქმეს თათრულად აწარმოებს და მეორე რუსულად) ხაზინადარს და 6 წევრს. კომიტეტი გამოჰყოფს აგრეთვე კომისიებს: საპროპაგანდოთ 10 წევრს და რედაქციაში სამუშაოდ 2 წევრს.

4) საერთო კრება შესდგება კომიტეტის წევრთაგან და ლაშქრის ნაწილების წარმომადგენლებისაგან.

5) წარმომადგენლად 100 კაცი ერთ კაცს ირჩევს. წარმომადგენელი 3 თვით ირჩევა.

**შენიშვნა:** წარმომადგენლად ყოფნა შეუძლიანთ აგრეთვე ოფიცრებს, ექიმებს, სხვა და სხვა მოხელეთ და მოწყალების დებს.

6) წარმომადგენლების ყოველივე კრება თავმჯდომარეს ირჩევს.

7) კრება შემდგარად ჩაითვლება, თუ მთელ შემადგენლობის $^2/_3$ გამოცხადდება.

**შენიშვნა:** თუ კრებაზედ შემადგენლობის $^2/_3$-ც არ დაესწრო, კომიტეტი შემდეგ კრებას იწვევს 2 დღის შემდეგ და იგი თუნდაც სრული არ იყოს შემდგარად ჩაითვლება.

8) წარმომადგენლების საერთო კრება თვეში ერთხელ პრეზიდიუმი იწვევს.

9) სასწრაფო საქმეების გადასაწყვეტად პრეზიდიუმს უფლება აქვს სწრაფად განსაკუთრებული კრება მოიწვიოს. თუ მოწვევა შეუძლებელი გახდა პრეზიდიუმს შეუძლიან თვითვე გადასწყვიტოს საქმე.

II

1) რუსეთის ყველა მუსულმანთა გაერთიანება, მიუხედავად პოლიტიკურ პარტიებისა.

2) პოლიტიკურ და კულტურულ განმანათლებელ იდეათა გავრცელება და შეგნებულ დისციპლინის გავრცელება რევოლუციურ ლაშქარში.

3) ეროვნულ ინტერესების ფართე დაცვა და მუსულმან ჯარისკაცთა ცხოვრებაში რელიგიურ წესებისა და ჩვეულებათა შეტანა.

4) მომზადება დამფუძნებელ კრებისათვის.

5) მხარის დაჭერა და დახმარების აღმოჩენა დროებით მთავრობისა:

1) ფედერატიულ ტერიტორიულ ნიადაგზე სახელმწიფო წეს-წყობილების დასამყარებლად, სადაც ეს შესაძლოა, სადაც არა—კულტურულ ნიადაგზე.

2) უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებად.

6) სამხედრო წოდებისა და სამხედრო ღვდლების უფლებათა გათანასწორება.

7) მუსულმან ქალების ტრადიციულ უღლიდან განთავისუფლება და მათი პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებით აღჭურვა.

8) ეროვნულ ორგანიზაციების და დაწესებულებათა გაერთიანება, რომ-

დენადაც ეს შესაძლო იქნება სადაზ-ქრო კომიტეტებთან ერთად.

III

**ორგანიზაციის საშუალებანი.**

1) ორგანიზაციისათვის საჭირო თანხას შეადგენენ:

ა) წარმომადგენლების და ჯარისკაცების ყოველთვიური გადასახადით. (2 პროცენტი ჯამაგირისა). ოფიცრები, მოხელენი, ექიმები და მოწყალების დები იხდიან ჯამაგირის 4 პროცენტს.

ბ) თავიანთ ნებით ჯარისკაცთა შიერ მოკრეფილ ფულით და

გ) კერძო შეწირულებით.

2) ფულის მიღება ხაზინადარს ევალება. მის მაგიერობის გაწევა შეუძლიან აგრეთვე მორიგე კომისარს.

3) დანახარჯის ანგარიშს პრეზიდიუმი წარმომადგენელთა საბჭოს უდგენს ყოველ თვე დასამტკიცებლად.

4) ფულის წიგნებს განიხილავს ყოველ თვის დამდეგს კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისია.

## მასწავლებელთათვის კურსების მოწყობა.

„სახალხო საქმის“ მე 31 ნომერში ქ-ნი ან. ქავთარაძისა და ბატ. ან. შუბლაძე სწერენ: „მასწავლებელთა კავშირის გამგეობა ფილიალთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თუ რომელიმე ფილიალი შეძლებს საკუთარის ძალღონით კურსების მოწყობას, იმ შემთხვევაში მთავარი გამგეობა დაეხმარება მას ლექტორებით“.

ეს სიტყვები გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ხაზინიდამ კურსების მოსაწყობად ფულის გაცემის იმედი აღარაა. ქართველი მასწავლებლები რჩებიან უკურსებოდ დიადი საქმის განხორციელების კართა წინაშე. ეს საქმეა სკოლის გაეროვნულება... თითქო შავბედით ყორანს არ ესიამოვნება ეს ქართველთათვის მრავალ ნაყოფიერი და რთულ შედეგიანი საქმე.. მაგრამ მართლაც ხაზინას საშუალება არა აქვს: მილიარდობით იხარჯება უნაყოფო და გამანადგურებელ ომისთვის, და სახალხო სკოლის, ისიც ქართულ სკოლის მასწავლებლისთვის ვიღას სცალია?! გადამთიელი თავს არ აიტკიებს, თუ ქართველი მასწავლებელი უძლური აღმოჩნდება სკოლის გაეროვნულების საქმეში და რამდენიმე ხნის შემდეგ—ორი-სამი თვის გასულს აღიარებს რუდოლფების და სლოვინსკების გასახარებლად: „ისევ რუსული სკოლა; ისევ რუსულად სწავლება. უძლური ვარ მე ქართულ ენაზე საგნების სწავლებაში“... მაგრამ ქართველ ერის მტერმოყვარენი ამ აღსარებას ვერ მოისმენენ ქართველ მასწავლებელთა ცხრა მეათედისას მაინც.. განსაკუთრებით გურია-აჭარას რაიონის... მასწავლებელთაგან, რომელნიც შეგნებით ქართულ ენის და ქართულ მწერლობის მოყვარულნი არიან... საქართველოს არც ერთ კუთხეში იმდენი ქართული წიგნი და გაზეთი არ მიდის, რამდენიც მადის პატარა გურიაში. მარტო გურიაში, სადაც ასი ათას მცხოვრებლამდის ითვლება, არის თითქმის 250 სკოლაზე მეტი... გასაკვირი არაა, რომ ყველაზე მეტად გურია-აჭარის მასწავლებლები გრძნობენ კურსების სიჭიროებას და მზად არიან ნივთიერი დახმარებაც კი გაიღონ მათ მოსაწყობად... მაგრამ ნუთუ ასეთი მძვირპლი უნდა გაიღებინოს ჩვენმა საზოგადოებამ სახალხო განათლების უანგარო მუშაკთ, რომელნიც ცნობილნი არიან თვისი ნამეტანი სილარიბით, ხელმოკლეობით?! ვთქვათ, რომ მთავარმა გამგეობამ გაუგზავნა ლექტორები... მასწავლებლები ხომ უნდა შეიკრიბნენ სადმე ხომ უნდათ იმათ ჭამა-სმა, სახლი და სხვა... სხვას ყველას რომ თავი დავანებოთ, ჭამა სმისათვის მოუნდება თითოეულს არა ნაკლებ 4—5 მანეთიც დღეში,—წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან მშიერ კუჭით ისმინონ ლექციები. კურსები რომ ერთს თვეს გაგრძელდეს, თითეული მასწავლებელი დახარჯავს 120—150 მ. და სად მოპოება ამოდენა ფული სოფლის ღარიბ მასწავლებელს,—რომლისთვის ყველაზე მეტად საგრძნობია დღევანდელი სიძვირე!?. ვალში და ვახში ჩავარდება, რომ სხვა არა იყოს რა... სჩანს, რომ კურსები მოუხერხებელია, თუ ხაზინა ან მთელი ქართველი საზოგადოება წვლილს არ გამოიღებს, და ეს წვლილი თითქმის ნახევარ მილიონ მანეთს უდრის... მაშინ რა ვქნათ?! ხაზინა არას იძლევა, ხოლო საზოგადოებას თითქოს არც კი ეპიტნავება სკოლების გაეროვნულება. . „არსაიდგან ხმა, არსით ძახილი“—მასწავლებელნი, ეს წამებული მუშაკნი, სდგანან დიადი საქმის წინაშე და თითქოს ეშინიათ შეაღონ ეროვნულ სკოლის კარი..,

მაგრამ შორს შიში! შორს იჭვიანობა! ჩვენი წრის ზეაღდგომის განთიადი უკვე დადგა.. და შენ, უძვირფასესო ამხანაგო მასწავლებელო, თამამად შეაღე ეროვნულ სკოლის კარი და შრომით გაიკვლიე გზა... ვისაც შრომის უნარი აქვს, ვინც ქართული ენა იცის რამდენადმე მაინც, ქართულ ენაზე საგნების სწავლება არ გაუჭირდება რასაკვირველია მომზადების შემდეგ!... ეხლა მხოლოდ საჭიროა სახელმძღვანელოები, რომელნიც უკვე მზად იქნებიან მალე, პროგიმნაზიის პირველ ოთხი კლასისა და უმაღლეს დაწყებით სკოლებისათვის. არის სახელმძღვანელოები გეოგრაფიისა, ანგარიშისა, ბუნების მეტყველებისა, ალგებრისა, გეომეტრიისა და სხვა. დანარჩენი საგნები: საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და ქართული გრამატიკა—შეიძლება მასწავლებლებმა თანდათანობით შეითვისონ. საქართველოს ისტორიის შესწავლა ერთბაშად მაინც შეუძლებელია... მოკლე ცნობები ამ საგნიდან მოიპოვებიან ქართულ ქრისტომატიებში და წიგნაკებში, რომელთა სია ცალკე გამოქვეყნდება.

ამჟამად ქართულ გრამატიკის სახელმძღვანელოებიც არის: სილ. ხუნდაძისა (ვრცელი და მოკლე), ნიკოლაიშვილისა (მოკლე და სხვა...) ქართველი მასწავლებელი განახლებულ ქართულ სკოლაში ორი სამი წლის შემდეგ ეროვნულ სკოლისთვის საჭირო ცნობებით და მეთოდებით აღიჭურვება და საიმედო ნიადაგზე შედგება. სახელდახელოდ კარგი იქნებოდა ზოგიერთ საგნის მეთოდური კონსპექტები რომ მიგვეწოდებინა მისთვის... მაგრამ ვაი თუ ეს საჩქაროდ აღარ მოხერხდეს... კურსების გახსნის მოლოდინში მეთოდურ კონსპექტების შედგენა არავის უფიქრია. მაგრამ უამკონსპექტებოდაც შეუძლიათ მასწავლებლებს (ზოგიერთ გამონაკლისის გარდა) ეროვნულ სკოლაში სწავლებას შეუდგნენ. „შრომასა და მოთმინებას“ ძალუძს ყოველივე გადალახოს...

მოკლე დროში, სულ რაღაც ორი სამი წლის შემდეგ დაიბეჭდება საუკეთესო სახელმძღვანელოები, და დამხმარე წიგნები რის მეოხებითაც მტკიცე საძირკველი ჩაეყრება ქართულ ენაზე მეცნიერების აღორძინებას. მაშინ ქართველი უფრო მეტი ეროვნული შეგნებით აღიჭურვება, და ამ შეგნებას მეტი მყარი საფუძველი ექნება. ცნობილია, რომ ერი, სამშობლო ენაზე მეცნიერებას თუ არ იძენს, გადაშენებას ვერ ასცდება ადრე იქნება თუ გვიან.

ილია ფერაძე

## კორესპონდენცია

### რაჭიდან

**ქვ. ნახუნდის მოხავალი.** თუ ომამდის რაჭველი გლეხი იძულებული იყო კახეთს და ქართლს წასულიყო საშუშაოდ და შეძენილი ფულით ოჯახის მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა,—ომის დროს ეს შეუძლებელი გახდა. ომის პირველ წლებს როგორც იქმნა გაუძლო რაჭის გლეხობამ. ეხლა კი თუ საქმე სხვანაირად არ შემოტრიალდა და ისევ ასეთ პირობებში მოუხდათ ცხოვრება, დიდი უბედურება ელის რაჭის ხალხს. წელს თავისუფლების სიხარული შუნებამ დაამგლოვიარა, გვალვამ მთლად მოსპო სიმინდი (ქვემო რაჭაში ჩალად აჭრეს), ზემო რაჭა მხოლოდ ალაგობით გადაურჩა გვალვას.

პურს, შარშანდელ წელთან შედარებით, მეტად მცირე გასავალი აქვს. სხვა ჭირნახული ხომ სათვალავში ჩასაგდები არაა, რადგან მოყვანს აგრე რიგად არ მისდევენ. ამრიგად მთელს რაჭაში წლიურ სარჩოს ალაგას თუ ური სარჩო მოვიდა და დაკლებული უნდა ნაყიდით შეავსონ. უფულობას რომ თავი დავანებოთ, გასაყიდი სადაა? თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ფურემ სიმინდს პარასკეობით რომ ონიდან გადმოაქვთ, ეს ხომ ზემო-რაჭის მეოთხედსაც არ ჰყოფნის. ონელებიც კი იმუქრებიან აღარ გადმოვიტანთო, რადგან ონის კოოპერატივი მეტად შესყიდვას ინდომებსო (ნიხრი ფუთზე 5 მ. 50 კაპ.). გლეხი სიხარულით აძლევს ფუთ მჭადში 6 მანეთს ოღონდ კი იშოვოს. პური სულ აღარ იშოვება. თუ სადმე გაჩნდა 25—30 მან. იყიდება კოდი (კოდი ორნახევარი ფუთია).

„ამ გვალვისგან მოყენებულ უბედურებას, როგორც იქნებოდა, გაუძლებდა კაცი“,—ჩივის გლეხი,—რომ ეს სხვა და სხვა გაჭირვებაც თავს არ დაგვტეხოდაო. საქონლის ჭირი მთელს რაჭას მოედვა, საშველი არსაიდანაა, წლობით გლეხს თავი რომ გაუჭირავებია მათ ხარი და ძროხა უყიდნია; ეხლა კი ესე ალალ ბედზე მიტოვებულს უკვდება. რომელ საზოგადოებასაც ჯერ ჭირი არა სწვევია იქ გზებზე ყარაულებია დაყენებული. საზოგადოება თითო ყარაულზე 100 მანეთს იხდის თვეში, ოღონდ კი როგორმე თავი გადირჩინოს. მშველელი არავინ არის. ბეითლები არსად სჩანან. თუ გამოჩნდებიან და უწამლოდ რა მაქნისნი არიან. საქონლის ჭირთად ერთად ღორისა და ცხვრის ჭირიც გაჩნდა (ალაგობითაა, ჯერ არ გავრცელებულა). ამ თავზე დატეხილ ჭირს ემატება კიდევ სხვა და სხვა „ბატონები“ (სახადები) და მათ მიერ მოყენებული ზარალი.

თუ რაიმე სასწაული არ მოხდა წელს, ისე რაჭა შიმშილობას ვერ გადარჩება. დღესვე უნდა იქმნეს ზომები მიღებული შიმშილობის წინააღმდეგ, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

ბ. გორდეზიანი.

## ახალციხის მხარედან

**საფარის მონასტერი.** ახალციხეში მოვხვდი ნათესავებთან და ერთ დღეს გადავსწყვიტეთ წავსულიყავით ახლო მდებარე მონასტრის სანახავად. ეს მონასტერი გახლავთ საფარა, რომელიც ქართველების მიერ არის აგებული რამოდენიმე საუკუნის წინ. საფარობა იციან 15 მარიამობისთვეს. ამ დღეს დიდძალი მლოცველები აწყდებიან მონასტერს ქართველთა სოფლებიდან. ჩვენც ეს დღე შევურჩიეთ და გაუდექით გზას. მიუახლოვდით საფარის მონასტერს, რომელიც მშვენიერ ადგილას ყოფილა გაშენებული. გარშემო მთებია, თვით საფარამდე მიმავალი გზაც გხიბლავს, გიტაცებს იმდენად წარმტაცია ბუნების სიმშვენიერით. გრძნობ, რომ ამ გზებზე მოსიარულე, რომელთაც ვეებერთელა ხევი ჩაუდის, უსათუოდ რაინდი უნდა იყოს. რაღაც გმირული სულით იმსჭვალები. იმდენად გიტაცებს სანახაობა, რომ გეგონება სურვილი ხევს თავზე გადაახტე, თითქოს შენთვის ბუნებას ფრთები მოუცია რომ გაფრინდე, თითქოს სიმკვირცხლე მოუძღვნია, რომ კურციკივით ხტოდე, ჯირითივით ნავარდობდე.

მივახწიე მონასტერს. აქ ხალხი ბუზივით ირევა. ზოგი მხიარულობს, ზოგი სალოცავად ეკლესიას ეტანება. შევედი ეკლესიაში და... თითქოს თავში ჩაქუჩი მოხვდა. მეწყინა, გული დამეკოდა, ვცდილობდი და ვერაფრით ვერ გამემართლებინა, თუ რისთვის უნდა ყოფილიყო აქ, ამ ქართველების მონასტერში, იმდენი ქართველ მლოცველებში რუსული წირვა-ლოცვა. გაკვირვებული შევეკითხე ჩემს ნათესავს, და გავიგე, რომ აქ სულ რუსის ბერები ყოფილან. ქართველი ბერები კი, რომლებიც წინედ იყვნენ, ეხლა, ერთიც აღარ არის, როგორც სჩანს, დაუთხოვნიათ. რაღაც საშინელმა სიბრაზემ მომიცვა, გვრძნობდი, რომ ქართველი ვიყავ და ამავე დროს შეურაცყოფილი, შეურაცყოფილი მით, რომ ქართველების მონასტერში ქართველ ბერებს ადგილი არა ჰქონდა. დაუწყე თვალიერება ხატებს, კიდლებს და მიკვირდა, რად არის კედლები ისე ჩამოხრებული, რომ ზედ მხატვრობა აღარა სჩანს. ვიფიქრე, ალბად ეს ძველ დროში ოსმალების გაფუჭებული იქნება-თქო. გამოვკითხე ჩამოსულ ქართველ მლოცველებს, რომელნიც ამ მონასტრის ხშირი სტუმრებია და იმათ მითხრეს: თურმე რუსის ბერებს წაუშლიათ ეს მხატვრობა და წაუშლიათ ისე ურცხვათ, უხეშად, რომ ეხლაც ეტყობათ გადანაფხეკი. ეტყობა, რომ გულით ცდილან მათ წაშლას, ეტყობა თვითეული ხაზი, თითქო ფრჩხილებით არის ანაფხეკი. ავიხედე მაღლა თაღისაკენ და იქაც მხატვრობა ძლივს მოჩანს, ზედ კირია მისხმული და ისიც ისე, რომ ყველა მიხვდება, რომ აქ განზრახ არის ეს ჩადენილი, თორემ იქ კირი ვერ მიუდგებოდა. გამოვედი გარედ და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე ეკლესიის გუმბათზე რუსული ხახვის თავი. როგორც სჩანს, ქართული გუმბათის თავი რომ მოუნგრევიათ, აი ამ ბუშტის დადგმის დროს სცდილან, რაც შეიძლება მეტი კირი მიესხათ შიგნითა მხატვრობისათვის. ან რა უნდოდა იქ კირს, როდესაც არც გუმბათი და არც მახლობელი კედლები კირით სრულებით არ არის შელებილი? დარწმუნებული ვარ, ვინც ნახავს არც ის შევა ეჭვში, რომ აქ განზრახ არის ეს ჩადენილი. აი სად ვგრძენი ეროვნული გრძნობის შელახვა. აი როდის მივხვდი თუ რაოდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო აღშფოთება იმ ხალხისა, რომლებიც ასეთების შესახებ ხშირად გაზეთების ფურცლებზე თავიანთ გულისწყრომას გამოსთქვამდნენ.

ვინ არიან ეს ბერები? საშველო საუკუნის აზიის მტარვალები თუ ქრისტიანობის სამოსელში გახვეულნი მოძღვარნი? რათ ჩაიდინეს ასეთი სიმხეცე? იმ მხატვრობას, რომელზეც ჩვენი საწყალი, გულკეთილი ხალხი მრავალ საუკუნის განმავლობაში მოწიწებით ემზორებოდა, სასოებით ლოცულობდა ასეთი წაბილწვა ეკადრებოდა? ნუ თუ ეს ქართველი ერის რწმენის, სინდისის, სარწმუნოების შებღალვა, ფეხქვეშ გათელვა და შეგინება არ არის? რად შლიდენ ქართველი ერის მიერ შექმნილ საუნჯეს?

ხალხში რუსის ბერებზე ძლიერ ცუდი ხმები დადის. ამბობენ რომ აქ ქალებს მარტო არ გაერებაო. ემ დღეს ხალხში ჩოჩქოლი იყო, უნდოდათ დეკანებით მოეთხოვათ, რომ ქართულად აესრულებიათ წირვა-ლოცვა, მაგრამ იმ დღისთვის ახალციხიდან მოეყვანათ ბლომად რუსის ჯარის კაცები და ექსცესებს მოხდენას მოერიდენ. ისე კი ხალხი გულნატკენი იძახოდ: „ეს არის თქვენი ახალი-თავისუფლება, რომ ქართულად წირვა-ლოცვას არ გვასმენინებენო“. გვერდით არის მიშენებული პატარა ეკლესია სადაც ოცი კაცი ძლივს მოთავსდება და იქ შეასრულეს ქართულად, ისიც სოფლიდან ჩამოსულმა ქართველმა მღვდელმა. წარმოიდგინეთ საეკლესიო წიგნებიც კი თვითვე მოეტანათ თან. აქ ური ქართული საეკლესიო წიგნები კი სად გადაკარგეს რუსის ბერებმა, ეს დღესაც არ იციან.

ამბობენ, აქ მრავალი ძვირფასი ნაშთები ყოფილა, რომლებიც ამ ბერების წყალობით დღეს აღარა სჩანს. სად წაიღეს, დღესაც ხალხმა არაფერი იცის.

პირველ მისვლისთანავე თვალში გეცემათ ამ ბერების არა სასურველი მოპყრობა ქართველების მიმართ. აშკარათ ატყობთ, რომ ამ ხალხს სძულს ქართველობა, ყველ ფეხის გადადგმაზე იჭიმებიან, რაც საშინელ გულისწყრომას იწვევს ქართველებში. ერთ დღეს მოვხდი აქ და მაშინაც უხვად გავიგონე ქართველების გინება რუსის ბერების პირიდან: „эти окаянные“ და სხვა, რამაც ძლიერ ამაღელვა.

როდემდის უნდა შერჩეთ ასეთი ჯირითობა ქართველების ზურგზე? ნუ-თუ დრო არ არი, რომ საქართველოს სიძველენი განთავისუფლდენ ასეთ ველურ მცველებისაგან.

ანტონ კანდელაკი.

## შიშნით კახეთიდან

**სოფ. შილდა.** რაც დრო გადის დიდოების თავ-გასულობა საშიშ სახეს ღებულობს. ერთი კვირის განმავლობაში უკვე სამი თავდასხმა მოხდა მწყემსებზე ს. შილდის მიდამოებში. დიდოებისაგან მოცემული სიტყვა 17—18 მკათათვეს: „ყაჩაღებს შევიპყრობთ და ნაძარცვ საქონელს დაგიბრუნებთო“ მხოლოდ სიტყვათ დარჩა. კახეთში, დიდოების მოსაზღვრე სოფლებში ახალგაზრდობის შესაჩერებლად დიდი სიმხნევე ჰქონდებათ დარბაისელ და ხანში შესულ ხალხს, რათა გაბრაზებული ხალხი თვითონ არ დაესხას თავს დიდოებს და უარესათ არ გაამწვავონ საქმე. მაგრამ ეს მხოლოთ დროებითი შეჩერებაა სისხლზედ მოსული ხალხისა, რომელნიც დიდოების თავ აშვებულებას მოთმინებიდგან გამოჰყავს და ბოლო აღარ უჩანს მათ ალეგირ-წახნილობას.

21 მარიამობისთვეს გაქ ფუბული ცხენით აწყდება მწყემსი შილდის სასოფლო სამმართველოს და თხოულობს სწრაფ დახმარებას. ამბობს: „დიდოებმა, რიცხვით 16 კაცმა, დაიტაცეს 300 სულამდე ცხვარიო“. ირაზმება საჩქაროთ 30 კაცი და უდგებიან გზას. მთის კალთებზე მდევარი შეხვდება მწყემსებს, რომლებიც ყვირილებით ბარგაბარხანით და ძირს მოეკრიბებიან ცხვარს. მწყემსები მოუთხრობენ მდევარს: ვახშმობის დრო იქნებოდა, როდესაც ერთმა დიდომ დაიძახა ბინაში: ძაღლები დაიჭით არ გვიკბინოსო დაძახებასთან ერთად, ბინაში მყოფ გიგიტაშვილებს (შილდელნი არიან) უტაციათ თოფებისთვის ხელი და გამოცვივნულან გარეთ მათ მიჰყოლია ორი სხვა მწყემსიც; რა შეუსწვრიათ მტაცებელთა ბრბოსთვის თვალი, მსწრაფ მოუსაზრებიათ გასცლოდნენ ბინას და გზის შეკვრით შემოდნენ ყაჩაღთ. ესეც მოქცეულან. ბევრი უძახნიათ დიდოებს გიგიტაშვილებისთვის დაბრუნებულიყვნენ ბინაში, ვინაიდგან ისინი საყოფლოთ (სამეგობროთ) იყვნენ მისულნი, მაგრამ გიგიტაშვილები არ ნდობიან და ახლოს არ მიჰკარებიან; მხოლოთ ლ. გიგიტაშვილს მწყემსის ხელით გაუგზავნია ლეკებისთვის 100 მანეთი და შეუთვლია აქლოთ ფული და წასულიყვნენ, რაზედაც დიდოებს უარი შეუთვლიათ და ნაცვლათ ფულისა იარაღი მოუთხოვნიათ. ამით შეწყვეტილა მათ შორის ლაპარაკი და კაცის გაგზან-გამოგზავნა. ამასობაში გიგიტაშვილები რიცხვით 4 კაცი, გაყოფილან ორ ჯგუფათ და ორგან შეუკრავთ ლეკებისთვის გასასვლელი გზები. გათენებისას ო. გიგიტაშვილის და პ. ლეკიაშვილის წაწყდომია, დატაცებულ ცხვარს, რომელსაც დიდოები მოერეკებოდნენ. ატეხილა ხანგრძლივი სროლა. დიდოები ანებებენ თავს დატაცებულ ცხვარს და გაიქცევიან, თან წაიყვანენ დაჭრილ დიდოსაც. გიგიტაშვილები გამორეკენ თავიანთ ცხვარს და აი მთლათ აყრილნი მთიდგან ჯერ ისევ ზაფხულში ბრუნდებიან ბარათ. ბრუნდება მდევარიც უკან, მაგრამ დასვენებასაც ვერ ასწრობს მდევარი რომ მეორე დღეს, მეორე ბინის მწყემსი ჩამოვარდა გულ-ხეთქებით. ი. უჯალიშვილს ცხვარი დატაცეს დიდოებმაო. ხელახლათ ირაზმება მდევარი და მიდის. ჯერ არაფერი ვიცით მდევრისა, თუმც აი მთელი ორი დღე გავიდა. საჭიროა საგუბერნიო კომიტეტმა მიაქციოს ყურადღება ასეთ თავაშვებულობას და რაიმე საშუალება იხმაროს დიდოების ასალაგმავათ, რათა დროზედ იქმნეს შეჩერებული ყველა ეს, თორემ შემდეგში უარესობაა მოსალოდნელი, ვინაიდგან რაკი მთა დაიცლება და დასატაცებელი არაფერი იქნება-რა, მაშინ დიდოები ბარათ დაიწყებენ თარეშს და ხალხის აწიოკებას. მოსალოდნელია აგრეთვე მოთმინებიდგან გამოსულმა ხალხმა თვითონ დაიწყოს დიდოებზედ თავდასხმა, რაიც უარესათ გაართულებს დამოკიდებულებას და გადაჰკიდებს ორ მეზობელ ერს ერთი მეორეზედ. ამ მიზეზით არის გამოწვეული 22 მარიამობისთვეს პირველი კრება მთელი ალაზნის მარცხენა ნაპირზედ მდებარე სოფლების წარმომადგენლების, სადაც უნდა გამოინახოს საშუალებანი, თუ რა გზით და როგორ ებრძოლონ დიდოების ყაჩაღთა ბრბოებს.

დ.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## კალენდარი

### შაბათი ენკენისთვის

### 2

**ქართვ.** წმ. მოწ. მამანტისა და ღირსისა მამ. იოანე მარხვულისა; კონსტ. პატრიარქისა.

**კათოლ.** წმ. სტეფანესი.

**სომეხ.** წმ. ჰაკობი და შმაონ მოციქულთა.

**მაჰმად.** შაბბე 28 რ. ზულყადე 1335 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** შაბათ 27 რ. ელულ 5677 ქვეყნ. შექმნ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.03 დღ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 საღ. |
| ბაქოსკენ | სამგზ. | № 19, | 8.30 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დღ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დღ. |
| [illegible] | ჩქარ. | № 6, | 9.20 დღ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 20, | 7.43 დღ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| [illegible] | საფ. | № 3, | 10.08 დღ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დღ. |

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვარკვლია.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**კომერციულ ცოდნათა**

**კ უ რ ს ე ბ ი**

**ტ. მ. ფილოიანისა**

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—12

**საავადმყოფო**

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვილოსნო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ოთხეიანი—ქალთა და საშვილოსნო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
გრიგორაშვილი—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—56

[illegible]

**ძმ. [illegible]**

[illegible]